ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2019 წლის ---------

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს** :

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმ-დებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 04/11/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016456) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის პირველ პუნქტს „ი“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობისათვის ნებართვის მოსაკრებელი გადახდილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის ოდენობის გათვალის-წინებით და გასულია მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემისას გადახდილი უნდა იქნას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის შესაბამისად განსაზღვრული მოსაკრებელი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ - თვითმმართველი ქალაქ ბათუმის 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროეტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ - თვითმმართველი ქალაქ ბათუმის 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად არ განსაზღვრას, იმ ობიექტებზე მოსაკრებლის გადახდის წესს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდევინება განხორციელდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტით (კ1) განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად და გავიდა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ ვინაიდან მოქმედი სამშენებლო რეგულაციების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში ხდება ,,ახალი მშენებლობის ნებართვის“ გაცემა, მასზე სრულად უნდა გავრცელდეს ,,ახალი მშენებლობის ნებართვის“ გაცემისათვის მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ - თვითმმართველი ქალაქ ბათუმის 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროეტი.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება;

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს

პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

პროექტის ინიციატორი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის
სამსახურის უფროსი — მირიან მეტრეველი